გიორგი ომსარაშვილი
ივ. ჯავახიშვილის სახ. თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი

რუსეთ-უკრაინის ომის გავლენა ჩრდილოეთ კავკასიურ სეპარატისტულ და ჯიჰადისტურ მოძრაობებზე

აბსტრაქტი

2022 წელს რუსეთის ფედერაციის უკრაინაში შეჭრამ და სრულმასშტაბიანი ომის დაწყებამ ახალი იმპულსი მისცა ჩრდილოეთ კავკასიურ სეპარატისტულ და ჯიჰადისტურ ძალებს. პროცესმა ხელი შეუწყო რიგ ჯგუფებს შორის თანამშრომლობის გაღრმავებას, ახალი პოლიტიკური ერთეულებისა და უკრაინის მხარეს მებრძოლი ქვედანაყოფების ჩამოყალიბებას. რიგ შემთხვევებში ახალ ალიანსებში სეპარატისტებთან ერთად წარმოდგენილი არიან ჯიჰადისტური წარსულის მქონე ძალები, რომლებიც რუსეთთან ბრძოლაში რელიგიურთან ერთად ეროვნული იდეოლოგიის გამოყენებასაც თანხმდებიან. აღნიშნული ტენდენცია შესაძლებელია ჩრდილოეთ კავკასიური ეროვნული მოძრაობების ნაწილის ისლამიზმთან ადაპტაციად შეფასდეს.

წინამდებარე ნაშრომი, კავკასიურ სეპარატისტულ და ჯიჰადისტურ მოძრაობებზე უკრაინაში მიმდინარე ომის ზეგავლენის შესწავლისა და გაანალიზების ერთ-ერთი პირველი მცდელობაა. კვლევის თეორიულ საფუძვლად გამოყენებულია ინტერდისციპლინური მიდგომა, რომელიც აერთიანებს სოციალური კონსტრუქტივიზმისა და სოციალური მოძრაობების თეორიის ელემენტებს. მონაცემთა შეგროვებისათვის ჩატარდა ნახევრად სტრუქტურირებული, ჩაღრმავებული ინტერვიუები ჩრდილოეთ კავკასიის სეპარატისტული მოძრაობების წარმომადგენლებთან. ამასთანავე, განხორციელდა ინტერნეტ სივრცეში კავკასიური სეპარატისტული და ჯიჰადისტური მედია რესურსების შესწავლა ციფრული ეთნოგრაფიის მეთოდის გამოყენებით.

კვლევისას გაანალიზდა ჩრდილოეთ კავკასიური ეროვნულ-განმათავისუფლებელი მოძრაობების საერთო მიზნები, პოლიტიკური პროექტები, მათთან დაკავშირებული საბრძოლო ქვედანაყოფების ფორმირების პროცესი, ონლაინ აქტივობები და ისლამიზმის მზარდი გავლენა დამოუკიდებლობის მომხრე ჯგუფებზე. სეპარატისტული მოძრაობები ეროვნულ დამოუკიდებლობას და პერსპექტივაში საერთო კავკასიური სახელმწიფოს სხვადასხვა მოდელს განიხილავენ. თავის მხრივ, ტერორისტული ორგანიზაცია კავკასიის საამიროსთვის უალტერნატივო მოდელს წარმოადგენს ერთიანი დამოუკიდებელი შარიათული ჩრდილოეთ კავკასია, რის გამოც მათთვის კატეგორიულად მიუღებელია დემოკრატიულ სეპარატისტულ ძალებთან თანამშრომლობა, ხოლო ისლამური სახელმწიფოს კავკასიური ფრთა რეგიონს მხოლოდ გლობალური სახალიფოს შემადგენლობაში ერთ-ერთ პროვინციად განიხილავს.

საკვანძო სიტყვები: *ჩრდილოეთ კავკასია, ჯიჰადიზმი, სეპარატიზმი, რუსეთი, უკრაინა, ომი.*

2022 წელს უკრაინაში რუსეთის ფედერაციის შეჭრისა და სრულმასშტაბიანი ომის დაწყების შემდეგ ჩრდილოეთ კავკასიური სეპარატისტული და ჯიჰადისტური ძალები გააქტიურდენენ. მიმდინარეობს გარკვეულ ჯგუფებს შორის კოოპერირება, ახალი პოლიტიკური მოძრაობებისა და უკრაინის მხარეს მებრძოლი ქვედანაყოფების ფორმირება.

2010-იანი წლებიდან ფაქტობრივად მილევად პროცესში მყოფ ეროვნულ ძალებს გაუჩნდათ ახალი იმპულსი განაახლონ და გააქტიურონ პოლიტიკური ბრძოლა, რომელშიც მოკავშირედ წარსულში კონკურენტი, ისლამისტური ჯგუფების წარმომადგენლები მოევლინენ. რიგ შემთხვევებში, ახალ ალიანსში სეპარატისტებთან ერთად წარმოდგენილი არიან ჯიჰადისტური წარსულის მქონე ძალები, რომლებმაც მიაღწიეს კონსენსუსს რფ-ის წინააღმდეგ საბრძოლველად ისლამთან ერთად ეროვნული იდეოლოგიაც გამოიყენონ. მიმდინარე პროცესი ფაქტობრივად ჩრდილოეთ კავკასიური ეროვნული მოძრაობების ნაწილის ისლამიზმთან ადაპტაციად შეგვიძლია განვიხილოთ.

ჩრდილოეთ კავკასიაში სეპარატისტული მოძრაობები და ჯიჰადისტური დაჯგუფებები შეისწავლეს, როგორც ადგილობრივმა ისე უეცხოელმა მკვლევარებმა: მ. ვაჩაგაევმა, ვახიტ აკაევმა, ემილ სულეიმანოვმა, ახმედ იარლიკაპოვმა, იგორ დობაევმა, გორდონ ჰანიმ, სვანტე კორნელმა და სხვ. მიუხედავად საკითხის აქტუალობისა, ჩრდილოეთ კავკასიური სეპარატისტული და ჯიჰადისტური მოძრაობების აქტივიზაციის პროცესის სათანადო შესწავლა რუსეთ-უკრაინის ომის კონტექსტში არ მომხდარა. წინამდებარე ნაშრომი, კავკასიურ მოძრაობებზე უკრაინაში მიმდინარე ომის ზეგავლენის შესწავლისა და გაანალიზების ერთ-ერთი პირველი მცდელობაა.

კვლევის მიზანს წარმოადენს: ვაჩვენოთ, თუ რა გავლენას ახდენს რფ-უკრაინის ომი ჩრდილოეთ კავკასიურ სეპარატისტულ მოძრაობებსა და ჯიჰადისტურ მოძრაობებზე, მათ შორის თანამშრომლობის გააქტიურებაზე, საერთო მიზნების და სამობილიზაციო სტრატეგიის ფორმირებაზე; შევისწავლოთ კავკასიური სეპარატისტული მოძრაობების ხედვები, მათი ჯიჰადისტური მოძრაობების ნაწილთან დაახლოების გამომწვევი მიზეზები და გარემოებები რუსეთ-უკრაინის ომის კონტექსტში. კვლევის მიზნიდან გამომდინარე ამოცანებს წარმოადგენს:

- ჩრდილოეთ კავკასიური სეპარატისტული და ჯიჰადისტური მოძრაობების გააქტიურებისა და გარდაქმნის პროცესზე დაკვირვება.
- უკრაინაში მიმდინარე ომის გავლენის შესწავლა სეპარტისტული და ჯიჰადისტური ჯგუფების იდეოლოგიაზე, ტაქტიკასა და სტრატეგიაზე.
- კავკასიური ჯიჰადისტური და სეპარატისტული მოძრაობების შემადგენელი გარკვეული ჯგუფების დაახლოების განმაპირობებელი მიზეზების კვლევა.
- ციფრული ტექნოლოგიების გავლენისა და როლის შესწავლა, განსაკუთრებით სოციალური პლატფორმებზე მხარდამჭერთა მობილიზაციისა და სხვადასხვა ჯგუფებს შორის დიალოგისა და სიანფორმაციო კამპანიის წარმოებასთან დაკავშირებით.

კვლევის თეორიულ საფუძვლად გამოყენებულია ინტერდისციპლინური მიდგომა, რომელიც აერთიანებს სოციალური კონსტრუქტივიზმისა[1] და სოციალური მოძრაობების[2] თეორიის ელემენტებს. აღნიშნული თეორიული მიდგომების მეშვეობით შესაძლებელია ჩრდილოეთ კავკასიური სეპარტისტული და ჯიჰადისტური მოძრაობების პოლიტიკური და რელიგიური მიდგომების ჩამოყალიბების გარემოებების და იდეოლოგიური ტრანსფორმაციის პროცესის შესწავლა და ანალიზი, რუსეთ-უკრაინის ომის კონტექსტსა და ახალი სამხედრო-პოლიტიკური შესაძლებლობების გაჩენის პირობებში. კონსტრუქტივიზმის მიხედვით, იდენტობები არ არიან ფიქსირებული და ისინი განიცდიან ცვლილებებს ურთიერთქმედებებისა და საერთაშორისო გარემოს ზემოქმედებით.[3] სოციალური მოძრაობების თეორია - კერძოდ, პოლიტიკური შესაძლებლობების კონცეფცია[4] და ფრეიმინგი[5] შესაძლებლობას გვაძლევს გავაანალიზოთ, როგორ მოქმედებს საერთაშორისო გარემოს ცვლილება (ამ შემთხვევაში, რუსეთ-უკრაინის ომი) და რა პირობებს ქმნის ახალი კოალიციების ჩამოყალიბების, იდეოლოგიური ხედვების შეჯერებისა და მობილიზაციის პროცესში.

მონაცემთა შეგროვებისათვის ჩატარდა ნახევრად სტრუქტურირებული, ჩაღრმავებული ინტერვიუები ჩრდილოეთ კავკასიის სეპარატისტული მოძრაობების წარმომადგენლებთან. ინტერვიუები ჩაიწერა ჩეჩნური, დაღესტნური და ჩერქეზული ჯგუფების ლიდერებთან 2023 წლის ნოემბერ-დეკემბრის პერიოდში პოლონეთში, ქ. ვარშავასა და უკრაინაში, ქ. კიევში. ინტერვიუები ეფუძნებოდა თემატურ გზამკვლევს, რაც მოიცავდა ჩრდილოეთ კავკასიის სეპარატისტული მოძრაობების იდეოლოგიას, პოლიტიკურ პროექტებსა და გეგმებს, ბრძოლის სტრატეგიისა და მობილიზაციის საკითხებს რუსეთ-უკრაინის ომის პირობებში. ინტერვიუების მეშვეობით შესაძლებელი გახდა, როგორც საერთო ტენდენციების, ასევე ინდივუდუალურად რესპოდენტების ხედვების გაცნობა. რესპოდენტებმა თანხმობა განაცხადეს მათთან ჩაწერილი ინტერვიუები გამოყენებულიყო სამეცნიერო მიზნებისათვის.

ამასთანავე, კვლევისას განხორციელდა ინტერნეტ სივრცეში (Telegram, YouTube, Facebook) კავკასიური სეპარატისტული და ჯიჰადისტური

---

[1] Alexander Wendt, *Social Theory of International Politics* (Cambridge: Cambridge University Press, 1999).

[2] Charles Tilly, *From Mobilization to Revolution*, Reading, MA: Addison-Wesley, 1978; Sidney Tarrow, Power in Movement: Social Movements and Contentious Politics, 2nd ed. Cambridge: Cambridge University Press, 1998.

[3] Alexander Wendt, *Social Theory of International Politics* (Cambridge: Cambridge University Press, 1999, p. 214.

[4] Doug McAdam, *Political Process and the Development of Black Insurgency*, 1930–1970 Chicago: University of Chicago Press, 1982;

[5] Erving Goffman, *Frame Analysis: An Essay on the Organization of Experience* (Cambridge, MA: Harvard University Press, 1974); David A. Snow and Robert D. Benford, “Ideology, Frame Resonance, and Participant Mobilization,” *International Social Movement Research* 1 (1988): 197–217; C. A. Süß and I. Weipert-Fenner, "Socioeconomic Grievances, Opportunities, and Frames: Conceptualizing Marginalization and Islamist Radicalization in Post-2011 Egypt and Tunisia," *Journal for Deradicalization* (2024), https://www.ssoar.info/ssoar/handle/document/98139;

მედიარესურსების შესწავლა ციფრული ეთნოგრაფიის მეთოდის[6] გამოყენებით, რომლებიც ახდენენ ინტერნეტ სივრცეში რფ-სთან ბრძოლისათვის საჭირო სამობილიზაციო პლატფორმების ფორმირებას. მონაცემები დამუშავდა თემატური ანალიზის[7] გამოყენებით. ძირითადი თემები და პატერნები ინტერვიუებსა და ონლაინ მასალებში გამოიყო მექანიკურად, განმეორებადი მოტივების, რესპოდენტებს შორის არსებული განსხვავებული პოზიციებისა და კონტექსტების გათვალისწინებით.

2022 წლის თებერვალში რუსეთის მიერ უკრაინაში სრულმასშტაბიანი ომის დაწყების პარალელურად გააქტიურდნენ სკანდინავიის ქვეყნებში, დიდ ბრიტანეთში, საფრანგეთში, პოლონეთში, თურქეთსა და სხვა ქვეყნებში მცხოვრები ჩეჩნეთის, ჩერქეზეთის, დაღესტნისა და ინგუშეთის ეროვნული დამოუკიდებლობის მოძრაობების წარმომადგენელები: *იჩქერიის მინისტრთა კაბინეტი* იგივე *იჩქერიის მთავრობა დევნილობაში, იჩქერიის პარლამენტი, ჩეჩნეთის მთავრობის პრეზიდიუმი, მსოფლიოს ჩეჩენთა კონგრესი, მოძრაობა ადათი* და ა.შ. ასევე დაფუძნდა ახალი მოძრაობები: *თავისუფალი ჩერქეზეთი, ერთიანი ძალა, დაღესტნის ნაციონალური ცენტრი, ინგუშური დამოუკიდებლობის კომიტეტი,* პარტია *Нохчийчоьнан Аз - ჩეჩნეთის ხმა, ჩეჩნეთის დემოკრატიული პარტია*, მედია აქტივისტების ჯგუფი *NYSO* და სხვა. რფ-სთან საომარ მდგომარეობაში მყოფი უკრაინა დაინტერესებულია რფ-ის ტერიტორიაზე სეპარატისტული მოძრაობების წახალისებითა და მხარდაჭერით.

კავკასიური პოლიტიკური ჯგუფების ნაწილი თანამშრომლობს, ნაწილი კი დაპირისპირებულია გარკვეულ საკითხებზე, მაგრამ ყველა მათგანი პესპექტივაში, როგორც ცალკეული დამოუკიდებელი სახელმწიფოს, ისე სამომავლოდ ერთიანი კავკასიური სახელმწიფოს კონფიგურაციებს განიხილავს. აღნიშნულ ძალებში დამოუკიდებლობის მიღების შემთხვევაში სახელმწიფოებრიობის მოწყობისა და მის საფუძვლებთან დაკავშირებული დისკუსიები აქტიურად მიმდინარეობს.

რფ-ის უკრაინაში შეჭრიდან მოკლე ხანში ქ. კიევში ჩამოყალიბდა *დაღესტნის ნაციონალური ცენტრი,* რომელიც რუსეთის დასუსტების შემთხვევაში, დამოუკიდებელი დაღესტნის ჩამოყალიბებას ეროვნული იდეოლოგიისა და ისლამის საფუძველზე განიხილავს, დეოკუპაციის პროცესს კი ჩრდილოეთ კავკასიის სხვა ხალხებთან ალიანსში ხედავს. ორგანიზაციის ხედვით, ჩრდილოეთ კავკასიაში უნდა ჩამოყალიბდეს სუვერენული სახელმწიფოები, რომლებიც 1991 წელს რესპუბლიკებს შორის დადგენილ საზღვრებს დათანხმდებიან და ტერიტორიულ პრეტენზიებზე უარს იტყვიან რუსეთის მიერ წახალისებული პოტენციური შეიარაღებული კონფლიქტების პრევენციისთვის. კრიზისის არიდების ერთ-ერთ საფუძვლად ისლამურ პრინციპს განიხილავენ, რომლის მიხედვითაც, მიუღებელია ეთნიკური ან/და ტერიტორიული მიზეზებით

[6] Sarah Pink et al., Digital Ethnography: Principles and Practice (London: Sage Publications, 2015); Tom Boellstorff et al., Ethnography and Virtual Worlds: A Handbook of Method (Princeton: Princeton University Press, 2012); Dhiraj Murthy, "Emergent Digital Ethnographic Methods," in The SAGE Handbook of Social Research Methods (London: SAGE, 2011), p. 158–175.

[7] Virginia Braun and Victoria Clarke, *Using Thematic Analysis in Psychology*, *Qualitative Research in Psychology* 3, no. 2 (2006): p. 77–101.

მუსლიმების ერთმანეთთან დაპირისპირება[8]. პოტენციური დაპირისპირების საფუძველი შესაძლოა გახდეს ისტორიულად ჩეჩნებით დასახლებული ყოფილი აუხოვის რაიონი, რომელიც 1944 წელს ჩეჩნების დეპორტაციის შემდეგ დაღესტანს მიაკუთვნეს და ნოვოლაკსკის რაიონი უწოდეს. ჩეჩნები ითხოვენ ისტორიული რაიონის აღდგენას და ტერიტორიიდან დაღესტნელი ხალხების გასახლებას.

დაღესტნის ნაციონალური ცენტრი დამოუკიდებელი სახელმწიფოს ჩამოყალიბებაში ისლამთან ერთად ადგილობრივ ტრადიციულ-ადათობრივ და კულტურულ საფუძვლებს განსაკუთრებულ მნიშვნელობას ანიჭებს. დაღესტნის მრავალეთნიკური და მულტიკულტურული თავისებურებების გათვალისწინებით, ორ პალატიანი პარლამენტის შექმნაზე საუბრობენ, რომელშიც ქვედა პალატა არჩეული დეპუტატებით, ხოლო ზედა პალატა ადგილობრივი ხალხების წარმომადგენლებით დაკომპლექტდება. ტერიტორიული მოწყობის კუთხით შვეიცარიის მოდელსაც განიხილავენ. რეგიონალურ გაერთიანებასთან დაკავშირებით ორგანიზაციის ხედვა კავკასიურ კონფედერაციას ან ევროკავშირის მსგავს ერთობას მოიცავს[9].

2022 წლის სექტემბერში პოლონეთში, ქ. ვარშავაში ევროპაში, თურქეთში, აშშ-სა და იორდანიაში მოქმედი ჩერქეზული დიასპორის ორგანიზაციებმა და აქტივისტებმა დააფუძნეს მოძრაობა *თავისუფალი ჩერქეზეთი,* მისი ფინანსური უზრუნველყოფისათვის ჩამოაყალიბეს ფონდი *ნართი.*[10] მოძრაობამ ერთ-ერთ ძირითად მიზნად დაისახა რუსეთ-კავკასიის (1763-1864) ომის დროს ჩერქეზთა გენოციდის საერთაშორისო აღიარების მიღწევა, რაც უნდა გახდეს ეროვნული ძალებისათვის კონკრეტულ მოქმედებებზე გადასვლის წინაპირობა. 2022 წელს მოძრაობამ გენოციდის აღიარების თხოვნით მიმართა უკრაინის პალამენტს. 2025 წელს უკრაინა, საქართველოს შემდეგ, გახდა რიგით მეორე ქვეყანა, რომელმაც რუსეთის იმპერიის მიერ განხორციელებული ჩერქეზთა გენოციდი აღიარა [11].

ჩერქეზული სეპარატისტული ϰგუფები პერსპექტივაში რფ-უკრაინის ომში, რუსეთის დამარცხებისა და დაშლის შემთხვევაში ყაბარდო-ბალყარეთის, ყარაჩაი-ჩერქეზეთის, კრასნოდარის მხარის და ჩრდილოეთ ოსეთის რესპუბლიკის მოზდოკის რაიონის ტერიტორიაზე, ერთიანი ჩერქეზული სახელმწიფო *ჩერკასიას* ჩამოყალიბებას განიხილავენ. მიაჩნიათ, რომ მხოლოდ ჩერქეზულ სახელმწიფოს შეუძლია უზრუნველყოს თვითმყოფადობა, ეროვნული კულტურისა და ენის დაცვა. მიიჩნევენ, რომ *ჩერკასია* ეროვნულ ღირებულებებსა და ნაციონალურ კულტურას უნდა დაეფუძნოს, რომელშიც გათვალისწინებული იქნება მის ტერიტორიაზე მცხოვრები ყარაჩაელების, ბალყარელებისა და სლავების უფლებები.[12] აღსანიშნავია, რომ 1990-იან წლებში გააქტიურებული რევიზიონისტული ეროვნული პორექტები გულისხმობდა ცალკეული ყარაჩაულ-

---

[8] *ϰ. მირზოევი დაღესტნის ნაციონალური ცენტრის* ხელმძღვანელი. ინტერვიუ ჩაწერილია 2023 წლის 30 ნოემბერს, ქ. კიევში.

[9] იქვე.

[10] Варшавская конференция. Свободная Черкесия,» *YouTube video*, 29 сентября 2022, https://www.youtube.com/watch?v=6GTdJXGtmOs.

[11] Про визнання геноциду черкеського (адизького) народу, вчиненого Російською імперією 09.01.2025 https://zakon.rada.gov.ua/laws/show/4206-IX#Text.

[12] ი. იაგანოვი, *თავისუფალი ჩერქეზეთის* ლიდერი, ინტერვიუ ჩაწერილია 27.11.2023 ქ. ვარშავაში.

ბალყარული და ადიღური (ჩერქეზული) რესპუბლიკების ჩამოყალიბებას ყაბრადოს, ჩერქეზეთის, ადიღესა და კრასნოდარის მხარეში მდებარე შაფსუღების რაიონის გაერთიანებით[13]. ნაკლებად სავარაუდოა, ისტორიული წინააპირობების გათავლისწინებით ყარაჩაელები, ბალყარელები და სლავური მოსახლეობა დათანხმდეს ჩერქზულ მოდელს. თუმცა, ჩერქეზული მოძრაობის ლიდერი მიიჩნევს, რომ რეგიონის რუსეთისაგან გათავისუფლებისა და დამოუკიდებელი კავკასიური სახელმწიფოების ჩამოყალიბების მისაღწევად ჩრდილოეთ კავკასიის ხალხებს მოუწევთ ტერიტორიულ პრეტენზიებზე უარის თქმა.

მოძრაობა ჩერქეზული სახელმწიფოს ჩამოყალიბებისა და ეკონომიკური გაძლიერების მომდევნო ეტაპად განიხილავს ერთიანი კავკასიური კონფედერაციის შექმნას, მათ შორის სამხრეთ კავკასიური სახელმწიფოების ჩართულობით. *თავისუფალი ჩერქეზეთი* კატეგორიულად გამორიცხავს შარიათზე დაფუძნებულ ერთიან კავკასიურ გაერთიანებაში გაწევრიანებას, რადგან ისლამიზმს ეროვნულ-განმათავისუფლებელი ბრძოლის შემაფერხებელ და ჩამხშობ იდეოლოგიად მიიჩნევს, რომელსაც რფ-ის სპეციალური სამსახურები ეფექტურად იყენებდნენ 2000-იანი წლებიდან დამოუკიდებლობის მოძრაობის გადაფარვისათვის[14]. ჩერქეზულ სეპარატისტულ მოძრაობებში დომინირებს ეროვნული იდეოლოგია, ხოლო რელიგია მის ერთ-ერთ შემადგენელ კომპონენტს წარმოადგენს.

უკრაინაში რუსეთის სრულმასშტაბიანი ომის დაწყების პარალელურად გააქტიურდნენ ინგუშური სეპარატისტული ძალებიც, რომლებმაც ახალი საზოგადოებრივი მოძრაობა *ინგუშური დამოუკიდებლობის კომიტეტი* ჩამოაყალიბეს, რომლის პრეზენტაცია 2023 წლის იანვარში, თურქეთის ქ. სტამბოლში გაიმართა. ორგანიზაცია მიზნად ისახავს რფ-ის შემადგენლობიდან ინგუშეთის გამოყოფის მომზადებას, წართმეული ტერიტორიების დაბრუნებას, 1944 წელს ინგუშთა დეპორტაციისას განხოცრიელებული გენოციდისა და 1992 წელს პრიგოროდნის რაიონში ეთნიკური წმენდის საერთაშორისო აღიარებას. ორგანიზაცია გმობს რუსეთის უკრაინაში შეჭრას[15] და თანამშრომლობს უკრაინაში მოქმედ სხვა სეპარატისტულ მოძრაობებთან. *ინგუშური დამოუკიდებლობის კომიტეტი* მიზნად ისახავს დამოუკიდებელი ინგუშეთის ისლამურ საფუძვლებზე მოწყობას. მოძრაობის ლიდერები აცხადებენ, რომ პოლიტიკურ აქტივობებს მხოლოდ შარიათთან შესაბამისობაში აწარმოებენ[16] და, ამასთანავე, მკაცრად გმობენ კავკასიის მუსლიმ, განსაკუთრებით, მონათესავე ხალხებს (ჩეჩნებსა და ინგუშებს) შორის ეთნიკური ნაციონალიზმის ნებისმიერ გამოვლინებას.[17]

---

[13] ჯონი კვიციანი, *კავკასია და კავკასიელები,* თბილისი, მერიდიანი, 2012. გვ. 111.

[14] ი. იაგანოვი, *თავისუფალი ჩერქეზეთის* ლიდერი, ინტერვიუ ჩაწერილია 27.11.2023 ქ. ვარშავაში.

[15] *„Деоккупация и полная независимость“: что известно о создании Комитета Ингушской независимости за рубежом, Fortanga.org*, 9 января 2023, https://fortanga.org/2023/01/deokkupacziya-i-polnaya-nezavisimost-chto-izvestno-o-sozdanii-komiteta-ingushskoj-nezavisimosti-za-rubezhom/.

[16] *Эфир - КИН #3 (28.06.2024) Ансар Гаркхо | Абдуллах Эги | Мухаммад Тор.* 1.07. 2024. https://www.youtube.com/watch?v=cmkH-6qFOzo

[17] *Сладкий яд национализма*. 22/08/2024 https://t.me/ingcommitte/76 .

2022 წლის ნოემბერში საფრანგეთში ჩატარდა ჩეჩნური დიასპორების გაერთიანებული ყრილობა, რომელზეც ჩამოყალიბდა მოძრაობა *ერთინი ძალა,* რომლის თავმჯდომარედ აირჩიეს ჩეჩნური ორგანიზაცია *Толам გაძარჯვების* ლიდერი ჯამბულატ სულეიმანოვი, ხოლო მის მოადგილედ დაინიშნა აქტივისტი და ჩეჩნეთის რესპუბლიკა იჩქერიის პრეზიდენტ ასლან მასხადოვის (1997-2005) ვაჟი, ანზორ მასხადოვი. მოძრაობის ლიდერი მიიჩნევს, რომ უკრაინაში რუსეთის შესაძლო მარცხის შემდეგ, ჩეჩნეთისა და ჩრდილოეთ კავკასიის სხვა ხალხებს საომარი მოქმედებების წარმოების გზით დამოუკიდებლობის აღდგენის მოკლევადიანი შესაძლებლობა მიეცემათ, რა დროსაც დაუშვებელია რესპუბლიკებს შორის საზღვრების ძალისმიერი გადახედვა. მსგავსი ქმედებები შესაძლოა გადაიზარდოს ხანგრძლივ დაპირისპირებაში, გადაფაროს რეგიონის დეოკუპაციის მნიშვნელობა, რითაც აუცილებლად ისარგებლებს რუსეთი. მოძრაობა, ჩეჩნეთის დამოუკიდებლობის აღდგენას არსებულ საზღვრებში განიხილავს, ხოლო მათთვის მნიშვნელოვანი ტერიტორიული საკითხების, მაგალითად, აუხოვის რაიონისა და მდინარე სულაკის დასავლით მდებარე მიწების საკითხს, მშვიდობიანი მოლაპარაკების ფორმატში მოგვიანებით დააყენებს. შესაძლო კონფლიქტების პრევენციის მიზნით, *ერთიანი ძალა* აქტიურ კოორდინაციაშია *დაღესტნის ნაციონალური ცენტრთან* და *თავისუფალ ჩერქეზეთთან.*

მოძრაობის ლიდერი ვარაუდობს, რომ დეოკუპაციის შემდეგ ჩეჩნეთს ე.წ. „დეკადიროვიზაციის" ხანგრძლივი პროცესის გავლა მოუწევს. ამასთანავე, რთული გამოწვევა იქნება სახელმწიფოს დამოუკიდებლობის შენარჩუნების მექანიზმების განმტკიცება და სახელმწიფო ინსტიტუტების მშენებლობა. ასევე, ადგილობრივი ჩეჩნური ისლამური სკოლის ჩამოყალიბებაც განიხილება, რადგან ახლო აღმოსავლეთის ისლამურ სასწავლებლებში მიღებული განათლების მქონე ლიდერების ნაწილი ნაკლებად ითვალისწინებს ადგილობრივ კულტურულ თავისებურებებს, რაც საზოგადოებაში გარკვეულ კონფლიქტებს იწვევს. *ერთიანი ძალის* ლიდერი მიიჩნევს, რომ პოლიტიკური ისლამი ჩეჩნურ საზოგადოებაში აქტუალური აღარ არის, რადგან ჩეჩნეთს საკუთარი რელიგიური თავისებურებები გააჩნია.[18] 2000-იან წლებში ფუნდამენტალისტური რელიგიური ჯგუფების ხედვები ჩეჩნური საზოგადოების ტრადიციონალისტური ფრთისთვის მიუღებელი იყო, რაც დეზინტეგრაციის ერთ-ერთ მთავარ მიზეზს წარმოადგენდა. *ერთიანი ძალა* ჩეჩნეთს სახელმწიფოებრივი მოწყობის და მმართველობის მოდელის განსხვავებულ ვარაინტებს განიხილავს. მაგალითისათვის, ჩეჩნეთი თუხუმებისაგან (*ტაიპების სამხედრო-ეკონომიკური ან პოლიტიკური გაერთიანება)* შექმნილი ფედერაცია უნდა იყოს თუ უნიტარული სახელმწიფო, დემოკრატიული მმართველობის ფორმა უნდა დამკვიდრდეს თუ შარიათი. აუცილებელად მიაჩნიათ, მოხდეს ისტორიული საფუძვლების ადაპტირება და თანამედროვეობასთან შესაბამისობაში მოყვანა[19].

მოძრაობის ლიდერი სამომავლოდ ჩრდილოეთ კავკასიის ხალხებთან ერთად ჯერ ფედერაციული ან კონფედერაციული ერთობის შექმნას, ხოლო

---

[18] ჯ. სულეიმანოვი, მოძრაობა *ერთიანი ძალის* ლიდერი, ინტერვიუ ჩაწერილია 2023 წლის 28 ნოემბერს ქ. ვარშავაში.
[19] იქვე.

შორეულ პერსპექტივაში კავკასიური ერის ფორმირებას და ერთიანი უნიტარულ სახელმწიფოს ჩამოყალიბებას განიხილავს, საქართველოს მაგალითზე. მოძრაობის მიერ უნიტარული ჩრდილოეთ კავკასიური სახელმწიფოს მოდელი, გარე ჩარევებისა და შიდა კონფლიქტებისადმი მიდრეკილ ფედერაციულ ან კონფედერაციულ ალტერნატივებთან შედარებით სტაბილურ და მდგრად ფორმად განიხილება. ამასთანავე, აღნიშნული ხედვა მოიცავს სახელმწიფოს ტერიტორიაზე მცხოვრები ეთნიკური ჯგუფების ეროვნული თვითმყოფადობის დაცვას და მათი ენებისათვის სახელმწიფო სტატუსის მინიჭებას[20].

ამჟამად იჩქერიის მთავრობის ლეგიტიმურ წარმომადგენლობაზე, ევროპაში მოქმედი სამი ჯგუფი აცხადებს პრეტენზიას: *იჩქერიის მთავრობა/იჩქერიის მინისტრთა კაბინეტი* - ახმედ ზაკაევის თავმჯდომარეობით[21], *იჩქერიის პარალემენტი* - ჟალაუდი (ლომა) სარალიაპოვის ხელმძღვანელობით[22] და *ჩეჩნეთის მთავრობის პრეზიდიუმი*[23] - ახიად იდიგოვის ხელმძღვანელობით. აღნიშნულ პოლიტიკურ ჯგუფებს შორის ყველაზე გავლენიანი და ორგანიზებულია *იჩქერიის მთავრობა,* რომელთანაც დაპირისპირებულია დანარჩენი ორი ჯგუფი, მაგრამ მათ შორის დაპირისპირება მეტწილად პიროვნული და არა იდეოლოგიური ხასიათის მატარებელია. *იჩქერიის მთავრობის* ლეგიტიმაციას არ აღიარებს არც *ერთიანი ძალა* და სხვა მცირე ჩეჩნური ჯგუფები, მათ შორის, 2022 წელს ჩეჩენი მედია აქტივისტის და ბლოგერის თუმსო აბდურაჰმანოვის მიერ დაარსებული პოლიტიკური პარტია *ჩეჩნეთის ხმა*[24], რომელიც *იჩქერიის პარლამენტის* თავმჯდომარე ჟ. სარალიაპოვთან თანამშრომლობს.

2022 წელს *იჩქერიის მთავრობას* შარიათული კურსის გაძლიერების ბრალდებით წარსულში ა. ზაკაევის პოლიტიკური ჯგუფის წევრები, იჩქერიის მეორე მოწვევის პარლამენტის წევრი ჰუსეინ ისხანოვი და ავსტრიაში იჩქერიის წარმომადგენელი იბრაჰიმ ნიკარხო დაუპირისპირდნენ. ისინი ეწინააღმდეგებიან 2002 წელს ჩეჩნეთის კონსტიტუციის შარიათულ შესწორებებს და ჩეჩნეთის ისლამურ სახელმწიფოდ გარდაქმნას[25], რასაც მხარს უჭერენ *იჩქერიის მთავრობის* წევრები. მათ ჩამოაყალიბეს *ჩეჩნეთის დემოკრატიული პარტია*, რომლის გაცხადებული მიზანია იჩქერიის დამოუკიდებელობის აღდგენა და საერთაშორისო აღიარების მოპოვება, დემოკრატიული და სამართლებრივი სეკულარული სახელმწიფოს ჩამოყალიბება 1992 წლის კონსტიტუციის საფუძველზე. [26]

იჩქერიის მთავრობის წარმომადგენელი ჩეჩნური პოლიტიკური ჯგუფების სიმრავლეს პრობლემად არ აღიქვავს. მისი შეფასებით, განსხვავებულ ჯგუფებს სხვადასხვა მიმართულებით შეუძლიათ წარმატების მიღწევა, რაც საერთო ჯამში

---

[20] იქვე.

[21] Правительства Чеченской Республики Ичкерия https://thechechenpress.com/ichkeria/management.html.

[22] Парламента Чеченской Республики Ичкерия https://t.me/TheParliamentofChRI.

[23] ПРЕЗИДИУМА ПРАВИТЕЛЬСТВА ЧР — ИЧКЕРИЯ https://chechen-government.com.

[24] NOXÇIYÇÖNAN AZ www.voiceofchechenia.com; Telegram https://t.me/voiceofchechenia.

[25] *НИЗАМ 2002-ГО ГОДА*, 4 июля 2002 года Маджлисуль-Шура ЧРИ, 5.01.2014, https://thechechenpress.com/ichkeria/scdcri/5414-crash.html

[26] Устав Чеченской Демократической Партии 1.01.2023 http://ichkeria.at/?p=18644.

დადებითად აისახება ჩეჩნურ საზოგადოებაზე. მიიჩნევს, რომ ჩეჩნურ საზოგადოებას დიდი სამობილიზაციო რესურსი გააჩნია და კრიტიკულ მომენტში ოპონირების რეჟიმში მყოფი ჯგუფები ისლამისა და თავისუფლება იდეის საფუძველზე შეძლებენ გაერთიანებას.[27]

2022 წელს უკრაინამ ჩეჩნეთი რფ-ის მიერ ოკუპირებულ სუვერენულ ტერიტორიად ცნო. *იჩქერიის მთავრობა* აგრძელებს მუშაობას ჩეჩნეთის საერთაშორისო და სრულუფლებიან სუბიექტად ცნობისათვის. ჩეჩნეთში დაბრუნების შემთხვევაში *იჩქერიის მთავრობა* გეგმავს აღადგინოს ჩეჩნეთის რესპუბლიკა იჩქერიის კონსტიტუცია, რის გამოც მათ მოწინააღმდეგეები (რადიკალი ისლამისტები) სეკულარიზმში ადანაშუალებენ. მოძრაობის წარმომადგენელი ყურადღებას ამახვილებს ჩეჩნეთის კონსტიტუციაში ისლამის განსაკუთრებული ადგილისა და როლის შესახებ ჩანაწერზე[28]. ჩეჩნური ისლამისტური ჯგუფები *იჩქერიის მთავრობას* დემოკრატებად მოიხსენებენ და მათ ხედვებს მკაცრად აკრიტიკებენ[29]. *იჩქერიის მთავრობის* პოზიციაა: საწყის ეტაპზე აღადგინონ დამოუკიდებლობა და მხოლოდ შემდეგ დაიწყოს სახელმწიფოს წყობისა და მისი რელიგიური კურსის განხილვა საზოგადოების სრული ჩართულობით; ჩეჩნეთი გახდეს საერთაშორისო თანამეგობრობის სრულფასოვანი წევრი და ისლამთან შესაბამისობასა და თანხვედრაში მყოფი ადამიანის უნივერსალური უფლებები იქნას დაცული და უზრუნველყოფილი; სახელმწიფოს სტრუქტურები შეესაბამებოდეს მსოფლიო სტანდარტებს და ჩეჩნეთმა შეძლოს საერთაშორისო ურთიერთობების დამყარება, რათა არ აღმოჩნდეს გარიყულ მდგომარეობაში[30];

იჩქერიის მთავრობის უმთავრესი მიზანია ეროვნული დამოუკიდებლობის აღდგენა, მაგრამ ასევე დაინტერესებული არ დარჩეს მარტო რუსეთის წინააღმდეგ და ერთიანი პოლიტიკური და ეკონომიკური სივრცე შექმნას მეზობელ ჩრდილოეთ კავკასიელ ხალხებთან რელიგიური, მენტალური და კულტურული მსგავების საფუძველზე. *იჩქერიის მთავრობა* მთიელ ხალხთა რესპუბლიკის აღდგენის შესახებ მოლაპარაკებეს აწარმოებს, რამაც შესაძლოა ჩრდილოეთ კავკასიის ხალხთა კონფედერაციის სახე მიიღოს[31]. ჩერქეზული სეპარატისტული ორგანიზაციების ნაწილი, მათ შორის *თავისუფალი ჩერქეზეთი,* ეწინააღმდეგება მთიელ ხალხთა რესპუბლიკის პროექტს, რომელიც არ ითვალისწინებს ადიღების ისტორიული შავი ზღვისპირა მიწების, თანამედროვე კრასნოდარის მხარის, ჩერქეზებისთვის დაბრუნების საკითხის[32].

---

[27] ა. ალვიევი, *ჩეჩნეთის მთავრობის* წარმომადგენელი უკრაინაში, ინტერვიუ ჩაწერილია 2023 წლის 5 დეკმებერს ქ. კიევში.

[28] იგულისხმება 2002 წლის 4 ივნისს კონსტიტუციაში გაკეთებული შესწორებები და დამატებები, რომელიც განხორციელდა არა პარლამენტის არამედ მაჯლის ალ-შურას მიერ.

[29] ა. ალვიევი, *ჩეჩნეთის მთავრობის* წარმომადგენელი უკრაინაში, ინტერვიუ ჩაწერილია 2023 წლის 5 დეკმებერს ქ. კიევში.

[30] იქვე.

[31] იქვე.

[32] ი. იაგანოვი თავისუფალი ჩერქეზეთის ლიდერი, ინტერვიუ ჩაწერილია 27.11.2023 ქ. ვარშავაში.

რუსეთ-უკრაინის ომის ფონზე ასევე გააქტიურდნენ ნოღაური[33] ორგანიზაციები და ჯგუფები: *თავისუფალი ნოღაისტანი* რიზვან კუბაკაევის ხელმძღვანელობით, რომელიც პოზიციონირებს, როგორც *დამოუკიდებელი ნოღაური რესპუბლიკა ასტრახანის მთავრობის* პრემიერ-მინისტრი და საზოგადოებრივი ორგანიზაცია *ნოღაი ელ* ანვარ კურმანაკაევის ხელმძღვანელობით, რომელიც ე.წ. *დამოუკიდებელი ნოღაური რესპუბლიკის* წარმომადგენელია თურქეთის რესპუბლიკაში.[34] ნოღაელებს არ გააჩნიათ ეროვნული ტერიტორიული ერთეული, მისი ჩამოყალიბება ისტორიული ნოღაის სტეპის ტერიტორიაზე (დღევანდელი სტავროპოლის მხარისა და ასტრახანის ოლქის ტერიტორიაზე) დასახელებული მოძრაობის ერთ-ერთი ძირითადი მიზანია. ასტრახანის ოლქის ტერიოტორიაზე პრეტენზიას ასევე აცხადებს *ოირატ-ყალმუხი ხალხის კონგრესი*, რომელმაც 2022 წლის ოქტომბერში დამოუკიდებლობის დეკლარაცია გამოაქვეყნა. ორგანიზაციის ლიდერი დაღესტნის მოსაზღვრედ, დამოუკიდებელი ყალმუხეთის ჩამოყალიბებაზე საუბრობს და უკრაინას რფ-ის დამარცხების შემთხვევაში უსაფრთხოების გარანტად განიხილავს.[35]

კავკასიური მოძრაობებისათვის სადავო ტერიტორიები განსაკუთრებით მწვავე საკითხია, მაგალითად, *ინგუშური დამოუკიდებლობის კომიტეტს* ქ. ვლადიკავკაზსა და ზემო ლარსზე კონტროლის დაბუნება სურს საავტომობილო გზით საქართველოსთან დასაკავშირებლად.[36] დასახელებული ჩრდილოეთ კავკასიური მოძრაოებები განსაკუთრებულ მნიშნველობას ანიჭებენ საქართველოს როლს მათი დამოუკიდებლობის მოპოვებისა და საერთაშორისო ურთიერთობების დამყარების საქმეში, მხარს უჭერენ საქართველოს ტერიტორიულ მთლიანობას. ჩრდილოეთ კავკასიური მოძრაობების შემდგომი განვითარებისა და წარმატებისათვის საქართველოს გეოგრაფიული მდებარეობა და პოლიტიკური პოზიცია განმსაზღვრელ ფაქტორებს წარმოადგენს. ამასთანავე, უნდა აღინიშნოს, რომ კავკასიური ჯგუფების მიერ საქართველოს ტერიტორიის გამოყენების მცდელობა რუსეთის ფედერაციის ხელისუფლების მიერ მტრულ ნაბიჯად აღიქმება, რაც შესაძლოა სამხედრო ესკალაციის მიზეზად იქცეს.

ჩრდილოეთ კავკასიური სეპარატისტული მოძრაობები საზოგადოებრივ-პოლიტიკური საქმიანობის წარმოებასთან ერთად დაინტერესებული არიან სამხედრო კომპონენტის გაძლიერებით და ცდილობენ უკრაინაში მიმდინარე ომის პირობებში ჩამოაყალიბონ, გაწვრთნან და სამხედრო გამოცდილებით უზუნველყონ საბრძოლო ქვედნაყოფები, რომლებსაც პერსპექტივაში გამოიყენებენ რეგიონში დაბრუნების შემთხვევაში. მაგლითვისათვის, *იჩქერიის*

---

[33] ნოღაელები თურქულენოვანი ხალხია და რუსეთში ძირითადად განსახლებული არიან ჩრდილოეთ კავკასიის დაღესტნის, ჩეჩნეთის, ყარაჩაი-ჩერქეზეთის რესპუბლიკებში, სტავროპოლის მხარეში, ასტრახანის ოლქსა და ვოლგისპირეთის სამხრეთ ნაწილში, მათი რიცხვი რფ-ში დაახლოებით 100 000-ს შეადგენს.

[34] Ногайский народ, в лице Правительства Независимого Ногайской Республики Астрахани (Ногайстан), *Telegram*, 25 октября 2023, https://t.me/Free_Astrakhan/971

[35] "Новая Калмыкия" и национал-демократия. О декларации о независимости Калмыкии 14.11.2022 https://www.idelreal.org/a/32121919.html

[36] GALGAY KOMITET, *На что мы будем жить?* Telegram 15.03.2025, https://t.me/ingcommitte/373.

მთავრობის განცხადებული მიზანია ჩეჩნური რეგულარული არმიის ჩამოყალიბება. უკრაინაში იჩექერიული ქვედანაყოფები ცდილობენ მაქსიმალურად გაიზიარონ რფ-სთან, როგორც მათ მოწინააღმდეგესთან, უკრაინული არმიის საბრძოლო გამოცდილება, აითვისონ თანამედროვე ტექნიკა, საორგანიზაციო პრინციპები, განავითარონ თანამედროვე ომის წარმოების უნარები. მოახდინონ ცოდნისა და გამოცდილების ადაპტირება რელიგიისა და ჩეჩნური კულტურული თავისებურების გათვალისწინებით[37].

2014 წელიდან რფ-ის მიერ ყირიმის ნახევარკუნძულის ანექსიისა და უკრაინის სამხრეთ აღოსავლეთში დაწყებული საომარი მოქმედებების შემდეგ, კონფლიქტში ჩაერთნენ დევნილობაში მყოფი იჩქერიის არმიის ყოფილი მეთაურები და მებრძოლები, რომლებმაც ჩამოყალიბეს: *ჯოხარ დუდაევისა* და *შეიხ მანსურის სახელობის მოხალისეთა ბატალიონები,* უკრაინის შეიარაღებული ძალების შემადგენლობაში შემავალი 34-ე მოიერიშე ბატალიონი *შეშლილი ხროვა***.** ქვედანაყოფები დონეცკისა და ლუგანსკის ოლქებში 2014-2022 წლებში მიმდინარე საბრძოლო მოქმედებებში იღებდნენ მონაწილეობას. 2022 წლიდან უკრაინაში გაიზარდა კავკასიელი მებრძოლებით დაკომპლექტებული ქვედანაყოფების რიცხვი, ჩამოყალიბდა: *ჰამზატ გელაევის სახელობის ბატალიონი, SOG სპეციალური ოპერაციების ჯგუფი, სადაზვერვო-დივერსიული ჯგუფი „ერთიანი კავკასია“* (წარსულში ცნობილი იყო როგორც *მუსულმანური კორპუსი „კავკასია“,* ქვედანაყოფში ირიცხებიან ისლამისტური წარსულის მქონე მებრძოლები**)**, კავკასიელი მებრძოლები ასევე ირიცხებიან ბატალიონ *ყირიმსა* და უკრაინის შეიარაღებული ძალების სხვადასხვა ქვედანაყოფებში. იმავე წელს *იჩქერიის მთავრობამ* ჩამოაყალიბა *სპეციალური დანიშნულების ცალკეული ბატალიონი და იჩქერიის სამხედრო დაზვერვის დეპარტამენტი, დაღესტნის ნაციონალურმა ცენტრმა* ჩამოაყალიბა დაღესტნელი მოხალისეებით დაკომპლექტებული *იმამ შამილის სახელობის მოხალისეთა ბატალიონი.* დაანონსებულია ჩერქეზული ბატალიონის ჩამოყალიბება, ამჟამად უკრაინაში მებრძოლი 40-მდე ჩერქეზი მოხალისის ჩართულობით[38].

მოძრაობა *ერთიან ძალასთან* დაკავშირებულია *შეიხ მანსურის სახელობის მოხალისეთა ბატალიონი***.** *ინგუშური დამოუკიდებლობის კომიტეტმა* ჩამოაყალიბა ორგანიზაციის სამხედრო ფრთა *ინგუშეთის განმათავისუფლებელი არმია,* რომელიც უკრაინაში მყოფ მებრძოლებსა და სირიაში ბაზირებული ჯიჰადისტური წარსულის მქონე ქვედანაყოფს აერთიანებს, და განმათავისუფლებელ ბრძოლას ჯიჰადის კონტექსტში განიხილავს[39], ინგუშეთში რფ-ის ძალოვანი სტრუქტურების ინფრასტრუქტურაზე ახორციელებს თავდასხმებს[40] და მოსახლეობას თანამშრომლობისაკენ მოუწოდებს. ამასთანავე, სირიაში მყოფი გაერთიანების

---

[37] ა. ალვიევი, *ჩეჩნეთის მთავრობის* წარმომადგენელი უკრაინაში, ინტერვიუ ჩაწერილია 2023 წლის 5 დეკემბერს ქ. კიევში.

[38] ი. იაგანოვი, თავისუფალი ჩერქეზეთის ლიდერი, ინტერვიუ ჩაწერილია 27.11.2023 ქ. ვარშავაში.

[39] *Генеральный штаб Вооружённых сил Галгайче*, *Telegram*, 13 июня 2025, https://t.me/galgayeskar/5 // *Краткое пособие партизана, GALGAY ESKAR, Telegram*, 18 июня 2025, https://t.me/galgayeskar/9.

[40] Генеральный штаб Вооружённых сил Галгайче (Ингушетия), *GALGAY ESKAR, Telegram*, 26 июня 2025, https://t.me/galgayeskar/15.

ერთ-ერთი მეთაური კავკასიაში დაბრუნებისა და ბრძოლის გაგრძელების შესახებ აკეთებს განცხადებებს[41]. ეთნიკური ინგუშები ასევე ირიცხებიან უკრაინის მხარეს მებრძოლ სხვა კავკასიურ ქვედანაყოფებშიც.

რფ-ის წინააღმდეგ ომში მონაწილე კავკასიურ ქვედანაყოფებში გამოჩდნენ *კავკასიის საამიროს* და/ან სირიაში მოქმედი სხვა ისლამისტური დაჯგუფებების ყოფილი მებრძოლები, რომლებიც არ არიან შემჩნეული მშვიდობიანი მოსახლეობის წინააღმდეგ ტერორისტული აქტების მოწყობაში. *იჩქერიის მთავრობის* შეიარაღებულ ფრთას თანამებრძოლებთან ერთად შეურთდა და სათავეში ჩაუდგა წარსულში რუსეთ-ჩეჩნეთის ომის ვეტერანი, *კავკასიის საამიროს* ერთ-ერთი ყოფილი მეთაური და შემდგომში სირიაში მოქმედი კავკასიური ჯიჰადისტური დაჯგუფება *აჯნად-ალ კავკაზის* ლიდერი რუსტამ აჟიევი, იგივე „აბდულ-ჰაკიმ შიშანი“, რომელიც იჩქერიის სამხედრო ძალების მთავარსარდლის მოვალეობის შემსრულებლის მოადგილის თანმდებობაზე დაინიშნა[42] და პარალელურად ხელმძღვანელობს *იჩქერიის სამხედრო დაზვერვის დეპარტამენტს.* ჯიჰადისტური წარსულის მქონე პოპულარული სამხედრო მეთაურისა და ეროვნული დამოუკიდებლობის მოძრაობის ლიდერის ალიანსს მწვავე კრიტიკული შეფასებები მოჰყვა რადიკალი ისლამისტების მხრიდან.

იჩქერიის მთავრობის წარმომადგენლის განმარტებით *სპეციალური დანიშნულების ცალკეული ბატალიონი (ОБОН)* დაკომპლექტებულია უკრაინაში მცხოვრები ეთნიკური ჩეჩნებით, რომლებიც 2014 წლიდან საბრძოლო მოქმედებებში არიან ჩართული და 2022 წლის შემდეგ ევროპიდან ჩასული ჩეჩნური დიასპორის წარმომადგენლებით. იჩქერიული ქვედანაყოფების მონაწილეობა რფ-უკრაინის ომში წარმოადგენს ეროვნულ-განმათავისუფლებელი ბრძოლის შემადგენელს, რადგან სურთ მტერს მიაყენონ ზიანი უკრაინის ტერიტორიაზე, ხოლო შემდეგ გაათავისუფლონ ჩეჩნეთი. ქვედანაყოფის წევრები შარიათისა ნორმების გათვალისწინებით მოქმედებენ, შესაბამისად, ისინი იბრძვიან არა უკრაინისთვის, არამედ რუსეთის წინააღმდეგ და სოლიდარობას უცხადებენ უკრაინას[43]. ბატალიონის ერთ-ერთი ხელმძღვანელი *ხავაჟი ამაევი* ჩრდილოეთ კავკასიაში რფ-ის წინააღმდეგ საბრძოლო მოქმედებების ვეტერანია, ჯერ *კავკასიის საამიროს* ერთ-ერთ ქვედანაყოფს და შემდგომში სირიის კონფლიქტში მონაწილე ჯიჰადისტური ჯგუფის *კატაიბ იბდ-არ რახმანის,* იგივე თარხანის ჯამაათს *(კავკასიის საამიროს* ერთ-ერთი ყოფილი ლიდერის თარხან გაზიევის დაჯგუფება)[44] მეთაურობდა.

---

[41] Обращение бойцов подразделения "Шам" Ингушской Освободительной Армии в Сирии | Абдуллах Эги. 17.09.2023, https://www.youtube.com/watch?v=1j4DhJ4k3Os.

[42] Абдул Хаким Ажиев. Полковник ВС ЧРИ. Назначение зам И.О. Верховного Главнокомандующего ВС ЧРИ https://www.thechechenpress.com/video/17054-abdul-khakim-azhiev-polkovnik-vs-chri-naznachenie-zam-i-o-verkhovnogo-glavnokomanduyushchego-vs-chri.html 17.10.2022

[43] ი. იაგანოვი თავისუფალი ჩერქეზეთის ლიდერი, ინტერვიუ ჩაწერილია 27.11.2023 ქ. ვარშავაში.

[44] Gordon M. Hahn, *REPORT: The Caucasus Emirate in the Levant and the ISAQ Fitna, Parts 1–2*, Russian & Eurasian Politics (блог), 25.02. 2015, https://gordonhahn.com/2015/02/25/the-caucasus-emirate-in-the-levantandtheisaqfitnacompleteparts1and2/#_ftn32

იჩქერიის მთავრობასთან ასოცირებულმა ქვედანაყოფებმა რფ-ის ტერიტორიის სიღრმეში რამდენჯერმე ჩაატარეს წარმატებული დივერსიული ხასიათის ოპერაცია.[45] აღსანიშნავია, რომ ქვედანაყოფში ჩეჩნებთან ერთად ქართველი მებრძოლებიც ირიცხებიან.[46]

დასახელებული კავკასიური მოძრაობები და ჯგუფები აქტიურად თანამშრომლობენ *ხალხთა ანტიიმპერიული ბლოკის*[47], *თავისუფალი ერების ლიგის*[48], *პოსტ-რუსეთის თავისუფალი ერების ფორუმის*[49] და სხვა ფორმატებში. სეპარატისტული მოძრაობების უმრავლესობა ცდილობს ურთიერთობების გაღრმავებას ევროსტრუქტურებთან.[50] კავკასიური ქვედანაყოფების ნაწილი კი თანამშრომლობს *კავკასიური კავშირის* ფორმატში, რომელშიც ქართული ორგანიზაციები და უკრაინაში მებრძოლი ქვედანაყოფებიც არიან გაერთიანებული. *კავკასიურმა კავშირმა* ჩამოაყალიბა *კავკასიის სამშვიდობო ძალების დეპარტამენტი*, რომელსაც უკრაინაში რფ-ს წინააღმდეგ მებრძოლი *კავკასიის ლეგიონის* მეთაური ლადო გამსახურდია ხელმძღვანელობს[51].

სეპარატისტული მოძრაობებისა და მათთან დაკავშირებული საბრძოლო ქვედანაყოფების პარალელურად გააქტიურდნენ კავკასიური ისლამისტური ჯგუფებიც, რომლებიც რუსეთ-უკრაინის ომის პირობებში არსებული დაძაბული მდგომარეობის გამოყენებას საკუთარი ინტერესებისთვის ცდილობენ. *კავკასიის საამიროს* ლიდერები რფ-ისა და უკრაინის მხარეს მებრძოლ კავკასიელებს ერთ განზომილებაში - „ურწმუნოებთან“ დაკავშირებულ ჯგუფებად განიხილავენ.[52] მოცემულ ეტაპზე მათი მიზანია, მოახდინონ სამომავლო სტრატეგიის ფორმირება და რესურსების მობილიზება შესაფერის დროს გააქტიურებისათვის. *კავკასიის საამიროს* ჩეჩნური ფრთა - *ვილაიათ ნოხჩიჩო* ჩეჩნეთში აქტივობების მოსამზადებლად, დამოუკიდებლობისათვის მებრძოლი ჯგუფების შარითის საფუძველზე კონსოლიდაციასა და ერთიანი საბჭოს - შურას ჩამოყალიბების აუცილებლობაზე ამახვილებს ყურადღებას, რომელშიც ჩაერთვებიან სხვადასხვა ქვეყანაში მცხოვრები ჩეჩნები, მათ შორის ახლო აღმოსავლეთსა და საქართველოს პანკისის ხეობაში მცხოვრები დიასპორის წარმომადგენლები.

---

[45] Бойцы воюющего за Украину ичкерийского батальона объявили о начале “диверсионных операций”,» *Кавказ.Реалии*, 15 марта 2024, https://www.kavkazr.com/a/boytsy-voyuyuschego-za-ukrainu-ichkeriyskogo-bataljona-obyavili-o-nachale-diversionnyh-operatsiy-/32862781.html.

[46] *«Русский медведь сам не уходит, его надо выгонять палкой». Как сторонники независимости Чечни защищают Украину*, 21.11.2022, https://rus.azattyq.org/a/kak-storonniki-nezavisimosti-chechni-zaschischayut-ukrainu-/32138994.html.

[47] ABN - Антиимперский Блок Народов https://abn.org.ua.

[48] Лига Свободных Наций / Free Nations League, *Telegram*, https://t.me/League_FN.

[49] *Форум свободных народов постРоссии*, Free Nations of PostRussia Forum, https://www.freenationsrf.org/ru

[50] *“Представители Ичкерии, Ингушетии и Калмыкии стали участниками ‘Форума народов постРоссии’ в Европарламенте 1.02.2023,” Кавказ.Реалии, February 1, 2023, https://www.kavkazr.com/a/predstaviteli-ichkerii-kalmykii-i-ingushetii-stali-uchastnikami-foruma-narodov-postrossii-v-evroparlamente/32249149.html*

[51] РЕШЕНИЕ КОНВЕНТА КАВКАЗСКОГО СОЮЗА, 10.08.2025, https://t.me/Caucas_Union/686.

[52] «История ДУККИ Умарова. Гость эфира старший брат Ахмад Абу Хамза,» *Утро Дагестан*, 5 августа 2025, YouTube video, https://www.youtube.com/live/wnyIxFNz0qo?si=wIdhkSVALY2d8u5H.

კავკასიის სააქიროს წარმომადგენლები ნებისმიერ სეპარატისტულ პროექტს მხოლოდ შარიათთან შესაბამისობაში მოიაზრებენ.[53] აღნიშნული ჯგუფი მკაცრად აკრიტიკებს კავკასიურ ეთნიკურ სეპარატიზმსა და ნაციონალიზმს, როგორც ეთნიკურ-ტერიტორიული კონფლიქტების წყაროს და მხოლოდ შარიათის საფუძველზე ჩამოყალიბებული ერთიანი ჩრდილოეთ კავკასიური ისლამური სახელმწიფოს მოდელს განიხილავს.[54] 2021 წელს ავღანეთში *თალიბანის* ხელისუფლებაში მოსვლა და 2024 წელს სირიაში ჯიჰადისტების გამარჯვება „წარმატებული“ შეიარაღებული ბრძოლის ახალი მაგალითი და მოტივატორია კავკასიური ჯიჰადისტური მოძრაობისთვის.

რუსეთ-უკრაინის ომის პირობებში ჩრდილოეთ კავკასიის რესპუბლიკებში პერიოდულად ფიქსირდება ტერორისტული თავდასხმები. მასშტაბურობითა და მსხვერპლით გამოირჩეოდა 2024 წელს დაღესტნის რესპუბლიკის ქ. მახაჩკალასა და ქ. დერბენტში პარალელურ რეჟიმში განხორციელებული თავდასხმები სინაგოგებსა და ქრისტიანულ ტაძრებზე, რა დროსაც დაიღუპა 4 სამოქალაქო პირი და 15 სამართალდამცავი.[55] ამ დრომდე უცნობია, კონკრეტულად რომელი ტერორისტული ორგანიზაციის სახელით მოქმედებდნენ თავდამსხმელები.

პერიოდულად ვრცელდება ინფორმაცია ჩრდილოთ კავკასიის რესპუბლიკებში ტერორისტული ორგანიზაცია *ისლამური სახელმწიფოს* მიერ განხორციელებული თავდასხმების და მათ წინააღმდეგ მიმართული კონტრტერორისტული ოპერაციების ჩატარების შესახებ. ტერორისტული ორგანიზაციის კავკასიური ფრთის *კავკასიის ვილაიათისთვის* იდეოლოგიურად მიუღებელია როგორც ნაციონალიზმი, ისე ნებისმიერი განსხვავებული ისლამისტური თუ ჯიჰადისტური ჯგუფის არსებობა, რის გამოც, მათ ურწმუნოებაში ადანაშაულებს და მტრებად განიხილავს.

ჩრდილოეთ კავკასიური სეპარატისტული და ჯიჰადისტური მოძრაობები თანამოაზრეების მობილიზაციის და მხარდამჭერთა მოსაზიდად აქტიურობენ ინტერნეტ სივრცეში - სოციალურ პლატფორმებზე, რაშიც დახმარებას უწევენ კავკასიელი მედია აქტივისტები. აღნიშნული ჯგუფები ძირითადად Telegram-ის არხების მეშვეობით პერმანენტულად მართავენ აუდიო კონფერენციებსა და დისკუსიებს, ავრცელებენ ანალიტიკურ სტატიებს და ვიდეო რგოლებს, კრიპრტოვალუტის მეშვეობით აგროვებენ ფინანსებს.

ინტერნეტ სივრცეში შეინიშნება ისლამისტური და ეროვნული იდეოლოგიის მომხრე გარკვეული კავკასიური ჯგუფების დაახლოების ტენდენციაც. კავკასიურ სეპარატისტულ ჯგუფებში, რომლებიც ტრადიციულად დემოკრატიულ პრინციპებს იზიარებდნენ, სახელმწიფოს ისლამური მოდელის მხარდაჭერა

---

[53] Абу Хамза, *Шура и Амир – единственный путь к единству и победе*, https://www.kavkazcenter.com/russ/content/2024/02/12/122131/abu-khamza-shura-i-amir---edinstvennyj-put-k-edinstvu-i-pobede.shtml 12.02.2024

[54] Мовлади Удугов, *Шариат в рамках демократии, легитимность и государство двух ущелий,* 22.11.2022 https://www.kavkazcenter.com/russ/content/2022/11/22/121157/movladi-udugov-shariat-v-ramkakh-demokratii-legitimnost-i-gosudarstvo-dvukh-uschelij--chast1-chast2.shtml

[55] 40 человек убито и 48 ранено в ходе вооружённого конфликта на Северном Кавказе во II квартале
2024 года.» Кавказский узел . 5 августа 2024. https://www.kavkaz-uzel.media/articles/402492.

შესამჩნევად გაიზარდა. მაგალითისათვის, *იჩქერიის მთავრობასთან* ასოცირებულ ინტერნეტ რესურსებზე ჩატარებული გამოკითხვები აჩვენებს, რომ სახელმწიფოს შარიათის საფუძველზე მოწყობის იდეა დამოუკიდებლობის მომხრეთა შორის დიდი პოპულარობით სარგებლობს.[56]

ამასთანავე, ჩამოყალიბდა რფ-ისგან დამოუკიდებლობის თემატიკაზე მომუშავე მედია აქტივისტების ახალი ჯგუფები, კვალიფიციური ისლამური განათლების მქონე ლიდერების ჩართულობით, რომლებიც ეროვნული დამოუკიდებლობის მოპოვებისა და შარიათის დამყარების იდეებს იზიარებენ. აღნიშნულ ჯგუფებს, შორის განსაკუთრებით აქტიურია ჩეჩნური ოპოზიციური გაერთიანება *NYSO*[57], რომელიც სოციალურ ქსელებში ძირითადად ჩეჩნეთიდან მიღებული ინფორმაციას აშუქებს, ლექციებს და დისკუსიებს მართავს დეოკუპაციისა და ისლამური საკითხების შესახებ.

დასკვნის სახით შესაძლებელია ითქვას, რომ რუსეთ-უკრაინის მიმდინარე ომმა ხელი შეუწყო ჩრდილოეთ კავკასიური სეპარატისტული და ჯიჰადისტური ჯგუფების გააქტიურებასა და რიგ შემთხვევებში დაახლოებას საერთო ანტი-რუსულ საფუძვლებზე. აღნიშნულმა პროცესმა გამოიწვია გარკვეულწილად იდეოლოგიის გადახედვა, შესაძლებელი გახადა პრაგმატული მოკავშირეობა წარსულში მკვეთრი იდეოლოგიური განსხვავებების მიუხედავად. შექმნილ ვითარებაში ორივე მხარე სამხედრო და სამობილიზაციო რესურსების გაძლიერებას ცდილობს, რადგან პერსპექტივაში რუსეთის ფედერაციასთან ფართო მასშტაბიანი სამხედრო დაპირისპირება განიხილება. ამ კონტექსტში საქართველოს გეოგრაფიული მდებარეობა განსაკუთრებულ სტრატეგიულ მნიშვნელობას იძენს, რასაც ადასტურებს რუსეთ–ჩეჩნეთის ომების გამოცდილებაც, როდესაც ქვეყნის ტერიტორიის ლოგისტიკური დანიშნულებით გამოყენების მცდელობებმა ეროვნული უსაფრთხოების გარემო არსებითად დაამძიმა.

სახელმწიფოს მოწყობის მოდელებსა და ტერიტორიულ საზღვრებზე განსხვავებული ხედვების მიუხედავად, სეპარატისტული მოძრაობები მეტწილად ეროვნული დამოუკიდებლობის გამოცხადების შემდეგ, შარიათის ეტაპობრივ დანერგვას კულტურულ თავისებურებებთან ადაპტირებას და პერსპექტივაში ერთიანი კავკასიური გაერთიანების ჩამოყალიბებას განიხილავენ. კავკასიელი სეპარატისტებისა და ისლამისტების პოზიციების დაახლოებას განაპირობებს დამოუკიდებლობის მომხრე კავკასიელების ახალგაზრდა თაობა, რომლის დიდი ნაწილი შარიათზე დაფუძნებულ მმართველობის ფორმას ემხრობა.

კავკასიის საამიროს მომხრე ჯიჰადისტებისთვის ერთიანი დამოუკიდებელი შარიათული ჩრდილოეთ კავკასია უალტერნატივო მოდელია და კატეგორიულად მიუღებელია დემოკრატიულ სპეარატისტულ ძალებთან თანამშრომლობა. ხოლო *ისლამური სახელმწიფოს* კავკასიური ფრთა კავკასიას მხოლოდ გლობალური სახალიფოს შემადგენლობაში ერთ-ერთ პროვინციად განიხილავს.

კავკასიური ჯიჰადისტური ჯგუფებისაგან განსხვავებით, რომლებიც ჩრდილოეთ კავკასიაში პერიოდულად ახორციელებენ თავდასხმებს, ამ ეტაპზე

---

[56] «ВОПРОС: Каким вы видите Мусулльманское Государство?» *VAYN SIY, Telegram*, 23 октября 2023, https://t.me/vaynsiy/6981.

[57] Телеграм-канал деоккупационной организации "Нийсо" https://t.me/niysoo/

სეპარატისტული ძალების მოქმედებები ძირითადად უკრაინის არამიასთან ერთობლივი ოპერაციებით და ვირტუალურ სივრცეში აქტივობებით შემოიფარგლება.

ციფრული ტექნოლოგიები კავკასიური მოძრაობების სამობილიზაციო საქმიანობაში უდიდეს როლს ასრულებს. უზრუნველყოფს სხვადასხვა ჯგუფების წარმომადგენლებსა და მხარდამჭერებს შორის საკომუნიკაციო სივრცეს, დისკუსიების გამართვისა და პოზიციების დასაახლოებლად. ამასთანავე, ამარტივებს სამომავლო მოქმედებების კოორდინაციას და ფინანსური სახსრების შეგროვებას ანონიმურობის დაცვით.

საზღვარგარეთ კავკასიური მოძრაობების გააქტიურების მიუხედავად, ჩრდილოეთ კავკასიაში რფ-სგან გამოყოფისა და დამოუკიდებელი სახელმწიფოს ჩამოყალიბების იდეები არაპოპულარულია. პირიქით, რეგიონის მოსახლეობის სოლიდური ნაწილი მხარს უჭერს რფ-ის ხელისუფლების პოლიტიკას, საომარი მოქმედებების წარმოებას უკრაინაში, რაზეც ომში მოხალისედ წასულთა და დაღუპულთა რიცხვიც მეტყველებს. 2025 წლის ზაფხულისათვის რფ-ის შეიარაღებული ძალების ქვედანაყოფების ნელი მაგრამ ეტაპობრივი წინსვლა, ჩრდილოეთ კავკასიის მოსახლეობისათვის არარეალისტურად წარმოაჩენს ახლო მომავალში რფ-ის შესაძლო დამარცხების ან დაშლის პერსპექტივას.

გამოყენებული ლიტერატურა - References

ძირითადი წყაროები - Main Sources

1. იბრაჰიმ იაგანოვი, მოძრაობა *თავისუფალი ჩერქეზეთის* ლიდერი, ინტერვიუ ჩაწერილია 27.11.2023 ქ. ვარშავაში.
2. ჯამბულატ სულეიმანოვი, მოძრაობა *ერთიანი ძალის* ლიდერი, ინტერვიუ ჩაწერილია 2023 წლის 28 ნოემბერს ქ. ვარშავაში.
3. ჯაბრაილ მირზოევი, *დაღესტნის ნაციონალური ცენტრის* ხელმძღვანელი. ინტერვიუ ჩაწერილია 2023 წლის 30 ნოემბერს, ქ. კიევში.
4. აჰმედ ალვიევი, *ჩეჩნეთის მთავრობის* წარმომადგენელი უკრაინაში, ინტერვიუ ჩაწერილია 2023 წლის 5 დეკმებერს ქ. კიევში.

სამეცნიერო ლიტერატურა - Academic Works

1. კვიციანი, ჯონი. *კავკასია და კავკასიელები,* თბილისი, *მერიდიანი,* 2012.
2. Boellstorff, Tom, Bonnie Nardi, Celia Pearce, and T. L. Taylor. *Ethnography and Virtual Worlds: A Handbook of Method*. Princeton: Princeton University Press, 2012.
3. Braun, Virginia, and Victoria Clarke. “Using Thematic Analysis in Psychology.” *Qualitative Research in Psychology* 3, no. 2 (2006): 77–101.
4. Goffman, Erving. *Frame Analysis: An Essay on the Organization of Experience*. Cambridge, MA: Harvard University Press, 1974.
5. McAdam, Doug. *Political Process and the Development of Black Insurgency, 1930–1970*. Chicago: University of Chicago Press, 1982.
6. Murthy, Dhiraj. “Emergent Digital Ethnographic Methods.” In *The SAGE Handbook of Social Research Methods*, edited by Pertti Alasuutari, Leonard Bickman, and Julia Brannen, 158–175. London: SAGE, 2011.

7. Pink, Sarah, Heather Horst, John Postill, Larissa Hjorth, Tania Lewis, and Jo Tacchi. *Digital Ethnography: Principles and Practice*. London: Sage Publications, 2015.
8. Snow, David A., and Robert D. Benford. "Ideology, Frame Resonance, and Participant Mobilization." *International Social Movement Research* 1 (1988): 197–217.
9. Tarrow, Sidney. *Power in Movement: Social Movements and Contentious Politics*. 2nd ed. Cambridge: Cambridge University Press, 1998.
10. Tilly, Charles. *From Mobilization to Revolution*. Reading, MA: Addison-Wesley, 1978.
11. Wendt, Alexander. *Social Theory of International Politics*. Cambridge: Cambridge University Press, 1999.
12. Süß, C. A., and I. Weipert-Fenner. "Socioeconomic Grievances, Opportunities, and Frames: Conceptualizing Marginalization and Islamist Radicalization in Post-2011 Egypt and Tunisia." *Journal for Deradicalization* (2024). https://www.ssoar.info/ssoar/handle/document/98139.

ონლაინ წყაროები - On-line Sources

1. Hahn, Gordon M. "REPORT: The Caucasus Emirate in the Levant and the IS–AQ Fitna, Parts 1–2." Russian & Eurasian Politics (blog), February 25, 2015. https://gordonhahn.com/2015/02/25/the-caucasus-emirate-in-the-levantandtheisaqfitnacompleteparts1and2/?utm_source=chatgpt.com#_ftn32.
2. GALGAY KOMITET, На что мы будем жить? Telegram 15.03.2025, https://t.me/ingcommitte/373.
3. NOXÇIYÇÖNAN AZ www.voiceofchechenia.com; Telegram https://t.me/voiceofchechenia.
4. "Новая Калмыкия" и национал-демократия. О декларации о независимости Калмыкии 14.11.2022 https://www.idelreal.org/a/32121919.html
5. "Представители Ичкерии, Ингушетии и Калмыкии стали участниками 'Форума народов постРоссии' в Европарламенте 1.02.2023," Кавказ.Реалии, February 1, 2023, https://www.kavkazr.com/a/predstaviteli-ichkerii-kalmykii-i-ingushetii-stali-uchastnikami-foruma-narodov-postrossii-v-evroparlamente/32249149.html
6. „Деоккупация и полная независимость": что известно о создании Комитета Ингушской независимости за рубежом, Fortanga.org, 9 января 2023, https://fortanga.org/2023/01/deokkupacziya-i-polnaya-nezavisimost-chto-izvestno-o-sozdanii-komiteta-ingushskoj-nezavisimosti-za-rubezhom/.
7. «ВОПРОС: Каким вы видите Мусульманское Государство?» 𝕍𝔸𝕐ℕ 𝕊ℍ𝕐, Telegram, 23 октября 2023, https://t.me/vaynsiy/6981.
8. «История ДУККИ Умарова. Гость эфира старший брат Ахмад Абу Хамза,» Утро Дагестан, 5 августа 2025, YouTube video, https://www.youtube.com/live/wnyIxFNz0qo?si=wIdhkSVALY2d8u5H.
9. «Русский медведь сам не уходит, его надо выгонять палкой». Как сторонники независимости Чечни защищают Украину, 21.11.2022, https://rus.azattyq.org/a/kak-storonniki-nezavisimosti-chechni-zaschischayut-ukrainu-/32138994.html.

10. 40 человек убито и 48 ранено в ходе вооружённого конфликта на Северном Кавказе во II квартале 2024 года, Кавказский узел . 5 августа 2024. https://www.kavkaz-uzel.media/articles/402492.
11. ABN - Антиимперский Блок Народов https://abn.org.ua.
12. Абдул Хаким Ажиев. Полковник ВС ЧРИ. Назначение зам И.О. Верховного Главнокомандующего ВС ЧРИ https://www.thechechenpress.com/video/17054-abdul-khakim-azhiev-polkovnik-vs-chri-naznachenie-zam-i-o-verkhovnogo-glavnokomanduyushchego-vs-chri.html 17.10.2022
13. Абу Хамза, Шура и Амир – единственный путь к единству и победе, https://www.kavkazcenter.com/russ/content/2024/02/12/122131/abu-khamza-shura-i-amir---edinstvennyj-put-k-edinstvu-i-pobede.shtml 12.02.2024
14. Бойцы воюющего за Украину ичкерийского батальона объявили о начале “диверсионных операций”,» Кавказ.Реалии, 15 марта 2024, https://www.kavkazr.com/a/boytsy-voyuyuschego-za-ukrainu-ichkeriyskogo-bataljona-obyavili-o-nachale-diversionnyh-operatsiy-/32862781.html.
15. Варшавская конференция. Свободная Черкесия,» YouTube video, 29 сентября 2022, https://www.youtube.com/watch?v=6GTdJXGtmOs.
16. Генеральный штаб Вооружённых сил Галгайче (Ингушетия), GALGAY ESKAR, Telegram, 26 июня 2025, https://t.me/galgayeskar/15.
17. Генеральный штаб Вооружённых сил Галгайче, Telegram, 13 июня 2025, https://t.me/galgayeskar/5 // Краткое пособие партизана, GALGAY ESKAR, Telegram, 18 июня 2025, https://t.me/galgayeskar/9.
18. Лига Свободных Наций / Free Nations League, Telegram, https://t.me/League_FN.
19. НИЗАМ 2002-ГО ГОДА, 4 июля 2002 года Маджлисуль-Шура ЧРИ, 5.01.2014, https://thechechenpress.com/ichkeria/scdcri/5414-crash.html
20. Ногайский народ, в лице Правительства Независимого Ногайской Республики Астрахани (Ногайстан), Telegram, 25 октября 2023, https://t.me/Free_Astrakhan/971
21. Обращение бойцов подразделения "Шам" Ингушской Освободительной Армии в Сирии | Абдуллах Эги. 17.09.2023, https://www.youtube.com/watch?v=1j4DhJ4k3Os.
22. Парламента Чеченской Республики Ичкерия https://t.me/TheParliamentofChRI.
23. Правительства Чеченской Республики Ичкерия https://thechechenpress.com/ichkeria/management.html.
24. ПРЕЗИДИУМА ПРАВИТЕЛЬСТВА ЧР — ИЧКЕРИЯ https://chechen-government.com.
25. Про визнання геноциду черкеського (адизького) народу, вчиненого Російською імперією 09.01.2025 https://zakon.rada.gov.ua/laws/show/4206-IX#Text.
26. РЕШЕНИЕ КОНВЕНТА КАВКАЗСКОГО СОЮЗА, 10.08.2025, https://t.me/Caucas_Union/686.
27. Сладкий яд национализма. 22/08/2024 https://t.me/ingcommitte/76 .
28. Телеграм-канал деоккупационной организации "Нийсо" https://t.me/niysoo/

29. Удугов, Мовлади. Шариат в рамках демократии, легитимность и государство двух ущелий, 22.11.2022 https://www.kavkazcenter.com/russ/content/2022/11/22/121157/movladi-udugov-shariat-v-ramkakh-demokratii-legitimnost-i-gosudarstvo-dvukh-uschelij--chast1-chast2.shtml
30. Устав Чеченской Демократической Партии 1.01.2023 http://ichkeria.at/?p=18644.
31. Форум свободных народов постРоссии, Free Nations of PostRussia Forum, https://www.freenationsrf.org/ru
32. Эфир - КИН #3 (28.06.2024) Ансар Гаркхо | Абдуллах Эги | Мухаммад Тор. 1.07. 2024. https://www.youtube.com/watch?v=cmkH-6qFOzo.